იუბილე

ერის კაცი - ნოდარ ჭითანავა 85 წლისაა



ბატონმა ნოდარ ჭითანავამ თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა ერისკაცობას მიუძღვნა. ერისკაცის სახელის მოპოვება უფრო რთული და ძნელია ვიდრე პოლიტიკოსის, ან მეცნიერის. თუმცა, ბატონი ნოდარი, დიდი პოლიტიკოსი და მეცნიერიცაა. მთელი მისი ცხოვრება კაცობაზე, ადამიანობასა და ღირსებაზეა აგებული.

ბატონი ნოდარი დაიბადა სოფელ ჭკადუაში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), 1936 წლის 10 მარტს. იგი გამორჩეული ახალგაზრდა იყო,რამაც მას პარტიული ხაზით კარიერულ გზა გაუკვალა და საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ბატონი ნოდარ ჭითანავა 1962 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა. იგი იყო: პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი, ცეკას ინსტრუქტორი, ცხაკაიას(სენაკის მუნიციპალიტეტი) რაიკომის პირველი მდივანი, აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი. 1974-1990 წლებში მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. სხვადასხვა დროს ბატონი ნოდარი, იყო ქალაქის, რაიონის (ორჯერ), ავტონომიური რესპუბლიკის, საქართველოს (ორჯერ), საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს (ორჯერ) დეპუტატი. 8 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ამავე საბჭოს მუდმივმოქმედ კომისიას. ბატონი ნოდარის, როგორც ხელმძღვანელის, გადაწყვეტილებები ყველა ეტაპზე საზოგადოებისა და ეროვნულ ინტერესებს ემყარებოდა.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ 1991 წლს მას შესთავაზა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრად მუშაობა. მან ეს გამოწვევა მიიღო და წარმატებით გაართვა თავი.

ბოლო სამი ათწლეული წელი ბატონმა ნოდარმა მეცნიერებას დაუთმო. ის გახლავთ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. 1993-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის 13 მონოგრაფიის) ავტორია. დღემდე ნაყოფიერად ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მისი კვლევის ძირითადი მიმართულებაა ქართული მიწის პრობლემები.

ბატონი ნოდარი მრავალწლიან მეცნიერულ და პრაქტიკული გამოცდილებას გადასცემს დოქტორანტებს. იგი ასწავლის დოქტორანტებს მეცნიერული კვლევის ეთიკურ ნორმებს,რაც გამიხატება თავიანთი აზრების დასაბუთებაში და არა სხვის უაზრო კრიტიკაში.

დღეს ბატონი ნოდარი წარმატებით მოღვაწეობს სტუ-ს ი.ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. არის სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი.

ბატონი ნოდარი ასევე გახლავთ ეკონომიკის სადოქტორო საუნივერსიტეტო საბჭოს წევრი. საბჭოზე თითეული მისი გამოსვლა მსმენელისათვის აკადემიის დამთავრების ტოლფასია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა დააჯილდოვა საპატიო სიგელითა და ერთი თვის ხელფასით.

ვულოცავთ ბატონ ნოდარ ჭითანავას საიუბილეო თარიღს. კვლავაც დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ვუსურვებთ თავისი ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგის“
სარედაქციო კოლეგიის სახელით,
პროფესორი
ალ. სიჭინავა